



საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 6
02/03/2016

6-06-4-201603021930



და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა N6

2016 წელი, 2 მარტი

ქ. ოზურგეთი

**მუნიციპალიტეტის დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის
სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ
საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და პროაქტიულად
გამოსაქვეყნებელი
საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის
კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ 85¹-ე მუხლის „ნორმატიული აქტების
შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ოზურგეთის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1. დამტკიცდეს „მუნიციპალიტეტის დაწესებულებების და
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის
იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად
გამოქვეყნების წესი“, დანართი N1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. დამტკიცდეს „მუნიციპალიტეტის დაწესებულებების და
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის
იურიდიული პირ(ებ)ის მიერ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო
ინფორმაციის ნუსხა“, დანართი N2-ის შესაბამისად.


მუხლი 3. ეთხოვოს მუნიციპალიტეტის გამგებელს უზრუნველყოს
მუნიციპალიტეტის დაწესებულებების, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის
სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის
საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად

გამოქვეყნებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ღონისძიებების გეგმის შემუშავება, ამ დადგენილების ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში.

მუხლი 4. ეთხოვოს მუნიციპალიტეტის გამგებელს მუნიციპალიტეტის დაწესებულებების, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისთვის საჭირო ტექნიკური დაპროგრამული ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა, ამ დადგენილების ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში.

მუხლი 5. ეს დადგენილება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია



საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო